სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა
გამოდის 1957 წლიდან
№ 6 (324) ივნისი, 2019 წელი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2019 წლის კურსდამთავრებულთათვის საზეიმო გამოსაშვები ღონისძიებები გაიმართა. სტუდენტები გულთბილად დაემშვიდობნენ მშობლიურ უნივერსიტეტს, რომელთან ურთიერთობასაც მომავალში უკვე პროფესიონალთა რანგში გააგრძელებენ.
კურსდამთავრებულები ალმა-მატერის შესახებ...

გვ 4-6

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2019 წლის 7 ივნისს დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის პირველი გამოსაშვები საღამო გაიმართა, რომელსაც ბევრი საპატიო სტუმარი ესწრებოდა.

გვ 3

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს წლებია მჭიდრო და ნაყოფიერი კავშირურთიერთობა აქვს დასავლეთ ევროპის განვითარებული ქვეყნების, განსაკუთრებით, გერმანიისა და ავსტრიის, საუნივერსიტეტო კლინიკებთან. ურთიერთობის მიზანს წარმოადგენს ქართველი სპეციალისტების მიერ ურთულესი დაავადებების დიაგნოსტიკური კვლევისა და მკურნალობის უახლესი, თანამედროვე მეთოდების შესწავლა-დანერგვა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკებში.

გვ 2

იტალიაში გამართულ სტუდენტთა საერთაშორისო ჩემპიონატზე კბილთა რესტავრაციაში („Jules Allemand Trophy“– მე-15 გამოშვება), საქართველომ მეხუთედ მიიღო მონაწილეობა და საუკეთესო ხუთეულში მოხვდა.

გვ 2

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტში

26 მაისიდან 1 ივნისის ჩათვლით „ერასმუს+“-ის გაცვლითი პროგრამის – KA107 საერთაშორისო მობილობის პროექტის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი: პედიატრიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მაია ხერხეულიძე, კლინიკური უნარ-ჩვევების და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი პირდარა ნოზაძე, ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი ეკატერინე ბეშკენაძე, აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორის მოადგილე, ოდონტოლოგიის დეპარტამენტის მოწვეული პედაგოგი ჯონდო ფოცხვერაშვილი და ფარმაკოგნოზიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი ანა ბოჟაძე, საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტში (პოლონეთი).

ვიზიტის ფარგლებში, თსსუ-ის დელეგაციამ მოინახულა ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის, სტომატოლოგიისა და ფარმაციის ფაკულტეტის დეპარტამენტები. ასევე, დაათვალიერა სიმულაციის ცენტრი და გაეცნო მისი მუშაობის სპეციფიკას, სტუდენტთა აქტივობებს და ცენტრში მეცადინეობების ჩატარების სტრუქტურას.

პროექტის ფარგლებში, ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, პროფესორმა მაია ხერხეულიძემ და ასოცირებულმა პროფესორმა პირდარა ნოზაძემ, ხოლო ფარმაციის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის ასისტენტ-პროფესორმა ანა ბოჟაძემ ლექციები წაიკითხეს. თსსუ-ის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორის მოადგილე ჯონი ფოცხვერაშვილი და ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი ეკატერინე ბეშკენაძე სტომატოლოგიის ფაკულტეტის 45 წლისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენებებით წარდგნენ.

თსსუ-ის დელეგაცია შეხვდა ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორს, პროფესორ დარიუს მატოსიუკს, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელს იზაბელა ვიტკოვსკას, „ერასმუს+“-ის კოორდინატორს აგნიეჟკა ბილევიჩს, სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ ბარბარა-ტომსჩინა ბოროვიჩს და ფარმაციის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ ანნა მალმს. დაისახა შემდგომი თანამშრომლობის გეგმები.

თსსუ-ში საქართველოს ლაბორატორიული მედიცინის ასოციაციის ყრილობა გაიმართა

8 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საქართველოს ლაბორატორიული მედიცინის ასოციაციის ყრილობა გაიმართა, რომელსაც ასოციაციის ადგილობრივი წევრები და სხვადასხვა რეგიონის დელეგატები ესწრებოდნენ.

ღონისძიება გახსნა და აუდიტორიას მიესალმა ასოციაციის პრეზიდენტი, თსსუ-ის ემერიტუს პროფესორი თინათინ ბუკია, რომელმაც ყრილობის მონაწილეებს მობრძანებისთვის მადლობა გადაუხადა.

ყრილობის თავმჯდომარედ თსსუ-ის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის რეზიდენტურის სამსახურის უფროსი, პროფესორი – ნანა კოჭლავაშვილი დაინიშნა. მან გაიხსენა ასოციაციის ჩამოყალიბების ისტორია და ყურადღება გაამახვილა მის როლზე უნივერსიტეტში არსებული ლაბორატორიული მედიცინის პროგრამის განვითარებაში.

პროფესორმა ნანა კოჭლავაშვილმა ისაუბრა, ასევე, ლაბორატორიული მედიცინის სარეზიდენტო პროგრამების შესახებ, რომლის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა საქართველოს ლაბორატორიული მედიცინის ასოციაციას და პროფესორ თინათინ ბუკიას.

ყრილობაზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს წარმოადგენდა თსსუ-ის სამედიცინო განათლების, კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი გაიანე სიმონია, რომელმაც ისაუბრა ლაბორატორიული მედიცინის განვითარების თვალსაზრისით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში არსებულ პერსპექტივებზე. მან აღნიშნა, რომ ლაბორატორიული მედიცინა ტრანსდისციპლინური დარგია და მედიცინის ნებისმიერ მიმართულებას ეხება, რაც ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა,შესაბამისად, უნივერსიტეტი მზად არის განავითაროს და დანერგოს ახალი მიდგომები კარგი სპეციალისტების აღსაზრდელად. პროფესორმა გაიანე სიმონიამ უნივერსიტეტის სახელით გამოთქვა მზადყოფნა ასოციაციასთან აქტიური თანამშრომლობისათვის.

შეხვედრა თსსუ-ის აკადემიურ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან

მიმდინარე წლის 18 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზ. ვადაჭკორია, კანცლერი, პროფესორი ზ. ორჯონიკიძე, ვიცე-რექტორები: პროფესორი ხ. თოდაძე, პროფესორი რ. ბერიაშვილი, პროფესორი ი. კოხრეიძე და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი ი. კვაჭაძე შეხვდნენ თსსუ-ის აკადემიურ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს.

შეხვედრის ძირითად მიზანს უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანი საკითხებისა და მომავალი სამუშაო გეგმების განხილვა წარმოადგენდა; ისაუბრეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის, უვადოდ არჩეულ პროფესორთა ატესტაციის კრიტერიუმების, ემერიტუსის ნოდების მინიჭების წესის, უწყვეტი პროფესიული განვითარების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

დამსწრე საზოგადოებამ დასვა შეკითხვები, დაფიქსირდა მოსაზრებები.

TSMU.EDU

აღმოსავლეთ საპარტნიორო (EaP) კონფერენცია

2019 წლის 11-13 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი რიმა ბერიაშვილი, სპიკერის სახით, მიწვეული იყო ევროკომისიის მიერ ორგანიზებულ აღმოსავლეთ საპარტნიორო (EaP) კონფერენციაზე, რომელიც რუმინეთში, ტირგუ-მურეშის მედიცინის, ფარმაციის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტში ჩატარდა.

კონფერენცია მიეძღვნა კვლევისა და ინოვაციების სისტემების განვითარებას და თანამშრომლობას ევროპის აღმოსავლეთ პარტნიორ სახელმწიფოებში. კონფერენციას მიესალმა ტირგუ-მურეშის მედიცინის, ფარმაციის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტის რექტორი, თსსუ-ის საპატიო დოქტორი, პროფესორი ლეონარდ აზამფირეი. კონფერენციის ერთ-ერთ სესიაზე, რომელიც ეძღვნებოდა ევროპული სტანდარტების დანერგვას მედიცინაში, პროფესორმა რიმა ბერიაშვილმა წარადგინა პრეზენტაცია: „მჭიდრო თანამშრომლობის განვითარება სამედიცინო განათლებასა და კვლევაში გლობალური გამოწვევების გზაზე“.

სტუდენტთა საერთაშორისო ჩემპიონატი კბილთა რესტავრაციაში – Jules Allemand Trophy

2-4 ივნისს თსსუ-ის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ნინო კორსანტია და სტომატოლოგიის ფაკულტეტის მეათე სემესტრის სტუდენტი მედეა გაწერელია მიწვევით იმყოფებოდნენ ქ. კიეტის (იტალია) დ'ანუნციოს უნივერსიტეტში, სტუდენტთა საერთაშორისო ჩემპიონატზე კბილთა რესტავრაციაში – „Jules Allemand Trophy“ (მე-15 გამოშვება) – მონაწილეობის მისაღებად.

საქართველომ უკვე მეხუთედ მიიღო მონაწილეობა ამ ჩემპიონატში, სადაც ერთმანეთს 36 სტუდენტი ეჯიბრებოდა – იტალიიდან 12 და ევროპის 22 ქვეყნის 24 წარმომადგენელი, რომელთაც თავის ქვეყანაში ნაციონალურ ჩემპიონატში გაიმარჯვეს. საქართველო საუკეთესო ხუთეულში მოხვდა, გამარჯვება საფრანგეთმა და ბულგარეთმა მოიპოვეს.

საინტერესო იყო, ასევე, ჩემპიონატის ფარგლებში, სტუდენტების თანმხლებ მწვრთნელებს შორის ჩატარებული კონფერენცია. სულ წარმოდგენილი იყო 6 პრეზენტაცია: იტალიის, პოლონეთის, ბულგარეთის და საქართველოს წარმომადგენლების მიერ. თსსუ-ის ასოცირებულმა პროფესორმა, ნინო კორსანტიამ, წარადგინა მოხსენება – `Experience of OSCE in Dentistry on the example of Tbilisi State Medical University~ (ოსკის გამოცდილება სტომატოლოგიაში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგალითზე). პრეზენტაციამ საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია.

სტომატოლოგთა საერთაშორისო კოლეჯის (ICD) ევროპული სექციის რიგით 64-ე საერთაშორისო კონგრესი

5-9 ივნისს საბერძნეთის ქალაქ თესალონიკში სტომატოლოგთა საერთაშორისო კოლეჯის (ICD) ევროპული სექციის რიგით 64-ე საერთაშორისო კონგრესი ჩატარდა, რომელსაც თსსუ-ის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მარინა მამალაძე, ამავე დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ნათია ნიჟარაძე და თსსუ-ის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორი, ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ლია სანოძე ესწრებოდნენ. კონგრესის მსვლელობაში სულ 14 სექცია იღებდა მონაწილეობას, რომლებშიც ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენელი იყო გაერთიანებული.

წლევანდელი შეხვედრის სამეცნიერო ნაწილი დატვირთული იყო სტომატოლოგიის ყველაზე აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი მოხსენებებით. თითოეულ მათგანს მაღალი სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება ჰქონდა.

საერთაშორისო კონგრესზე, თსსუ-ის ოდონტოლოგიის დეპარტამენტი წარდგა მოხსენებით – სტუდენტთა კომუნიკაციის უნარის შეფასება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის მაგალითზე. აღნიშნულმა პრეზენტაციამ დამსწრე საზოგადოებაში დიდი ინტერესი და დისკუსია გამოიწვია, რადგან არისტოტელეს სახელობის უნივერსიტეტის სტომატოლოგიის სკოლაში OSCE და კომუნიკაციის უნარების შეფასება არ არის დანერგილი.

საერთაშორისო განათლების ეროვნული ასოციაციის გამოფენა-კონფერენციაზე

26-31 მაისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი წარმოდგენილი იყო საერთაშორისო განათლების ეროვნული ასოციაციის (NAFSA _ national association of international educators) გამოფენა-კონფერენციაზე ვაშინგტონში (აშშ). გამოფენაში მონაწილეობდა 80-მდე ქვეყნის 2000-მდე წარმომადგენელი. მათ შორის, საქართველოს მხრიდან მონაწილეობდა 5 სხვადასხვა სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის – ,,ვისწავლოთ საქართველოში“ – ფარგლებში.

ამასთანავე, სტუდენტთა შესაძლო დასაქმების შესახებ გაიმართა შეხვედრა საქართველოს დელეგაციასა და საერთაშორისო განათლების ადმინისტრატორთა ასოციაციას (AIEA _ Association of International Education Administrations) შორის. იმისათვის, რომ საერთაშორისო განათლების ადმინისტრატორთა ასოციაციის მიერ შემუშავებულ პროგრამებში საქართველოს სტუდენტებმა მიიღონ მონაწილეობა, საქართველო უნდა გახდეს ამ ასოციაციის წევრი და ამ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტულ პროექტზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო იმუშავებს.

ახალი გამოწვევების პირისპირ

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს წლებია მჭიდრო და ნაყოფიერი კავშირურთიერთობა აქვს დასავლეთ ევროპის განვითარებული ქვეყნების, განსაკუთრებით, გერმანიისა და ავსტრიის, საუნივერსიტეტო კლინიკებთან. ურთიერთობის მიზანს წარმოადგენს ქართველი სპეციალისტების მიერ ურთულესი დაავადებების დიაგნოსტიკური კვლევისა და მკურნალობის უახლესი, თანამედროვე მეთოდების შესწავლა-დანერგვა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკებში.

თსსუ-ის რექტორის, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას და ვიცე-რექტორის, ასოცირებული პროფესორის, ირაკლი კოხრეიძის, აღნიშნულ კლინიკებთან აქტიური ურთიერთთანამშრომლობის შედეგად, თსსუ-ის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში სამომავლოდ იგეგმება სამედიცინო მომსახურების თანამედროვე სერვისების, კერძოდ, ტელემედიცინის დანერგვა რაც ქართველ ექიმებს საშუალებას მისცემს, იმუშაონ მულტიდისციპლინურად, დიაგნოსტიკის და მკურნალობის მაღალი სტანდარტით, ეს კი მკვეთრად გააუმჯობესებს პაციენტების სამედიცინო მომსახურების ხარისხს.

გთავაზობთ საუბარს თსსუ-ის ვიცე-რექტორთან, ასოცირებულ პროფესორ, ირაკლი კოხრეიძესთან, რომელსაც ვთხოვეთ მკითხველისთვის საკუთარი მოსაზრებანი გაეზიარებინა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ყოველწლიურად მთელ მსოფლიოში მატულობს ონკოლოგიური დაავადებებით ავადობის და ამ დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი. ონკოლოგიური დაავადებების სიხშირე იზრდება, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში, თუმცა, სიხშირის მატების მიუხედავად, უკანასკნელ პერიოდში განვითარებულ ქვეყნებში შეინიშნება ამ დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება; რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, აქ სიკვდილიანობის მაჩვენებელი კვლავ მაღალია, რასაც მრავალი ფაქტორი განაპირობებს. პირველ რიგში, ეს არის არასრულყოფილი დიაგნოსტიკა, სკრინინგი, რომელიც მუშაობს, თუმცა, გარკვეული ხარვეზებით, როცა დაავადების გამოვლენა არ ხდება ადრეულ სტადიაზე; ასევე, არ ხდება ისეთი სკრინინგული ტესტებით იდენტიფიკაცია, რომელთა მეშვეობით გაცილებით ეფექტურია ონკოლოგიური დაავადების პრეკლინიკურ სტადიაზე აღმოჩენა; უარყოფითად მოქმედებს, ასევე, განვითარებადი ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რაც, სამწუხაროდ, მაღალი ხარისხის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სტანდარტებთან მიახლოების პირობებს ვერ ქმნის.

ევროპაში ჩვენი ვიზიტების მთავარი მიზანი გახლდათ იმ ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერება, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, ხანგრძლივი, მრავალწლიანი და ნაყოფიერი მუშაობის შედეგია, განსაკუთრებით

დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან – ავსტრიასა და გერმანიასთან – ურთიერთობის კუთხით. აღსანიშნავია პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას მრავალწლიანი მუშაობა ინსბრუკის საუნივერსიტეტო კლინიკების გაერთიანებასთან, პერსონალურად, ქალაქ

დასასრული მე-8 გვერდზე

გილოცავთ!

ძვირფასო კურსდამთავრებულებო! დღეს უმნიშვნელოვანესი დღეა თქვენს ცხოვრებაში – დასრულდა სტუდენტობის ლამაზი წლები და აი, უკვე თქვენი პროფესიის ურთულეს და საპასუხისმგებლო გზაზე გასასვლელად და ახალი მწვერვალების დასაპყობად ემზადებით. დღევანდელი დღე კი თქვენი შრომის, გარჯის, ძალისხმევის შედეგია. შეიძლება ითქვას, რომ თქვენ უკვე ბრძანდებით თითქმის ასწლოვანი ისტორიის, დიდი ტრადიციის მქონე უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულები, სადაც ცოდნას ეუფლებიან მსოფლიოს 68 ქვეყნის და საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების საუკეთესო ნაწილი, რაც თქვენი მაჩვენებლებით დაამტკიცეთ მაშინ, როცა ჩააბარეთ ამ უნივერსიტეტში და ახლაც, როცა ამთავრებთ მას.

დარწმუნებული ვარ, მზად ხართ იმ პასუხისმგებლობისთვის, რაც ექიმის საქმიანობას მუდმივად ახლავს; ბევრი თქვენგანი სწავლას გააგრძელებს რეზიდენტურასა და დოქტორანტურაში; მართალია თქვენი განათლება გათანაბრებულია მაგისტრის წოდებასთან, ზოგი მაინც მოისურვებს მაგისტრატურაში სწავლას ამა თუ იმ სპეციალობით ან დაგვიბრუნდება თსსუ-ის თეორიულ დეპარტამენტებში... დღეს გზაგასაყართან დგახართ და არჩევანი უნდა გააკეთოთ, რა მიმართულებით ივლით პროფესიული სრულყოფის გზაზე.

თქვენ მიერ დღემდე განვლილი გზა კი, შეიძლება ითქვას, რთული და შრომატევადი, თუმცა ბევრისმომცემი იყო. თქვენი ცხოვრების ასეთ მნიშვნელოვან პერიოდში, უპირველესად, გვერდით გედგათ თქვენი მშობლები, ოჯახის წევრები და მეგობრები, რომლებსაც თქვენთან ერთად მივულოცავ დღევანდელ დღეს; ასევე, მივულოცავ თქვენს პროფესორ-მასწავლებლებს, დეკანს, სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, რომლებმაც დიდი შრომა გასწიეს, რომ თქვენ ღირსეულ პროფესიონალებად ჩამოყალიბებულიყავით.

დღევანდელი დღე ნაღველნარევი სიხარულის დღეა, რომელიც სტუდენტობის პერიოდის დასრულებას და უნივერსიტეტიდან დროებით წასვლას უკავშირდება. დროებით, რადგან როგორც არაერთხელ მითქვამს, ეს თქვენი უნივერსიტეტია. მინდა გითხრათ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი თავისი კურსდამთავრებულების მხრებზე დგას, რომლებმაც ბევრი გააკეთეს და დღესაც არ იშურებენ ძალისხმევას მისი განვითარებისა და მომავალი თაობის პროფესიული დახელოვნებისთვის; დარწმუნებული ვარ, ბევრი თქვენგანი დაბრუნდება აქ პროფესორად, ასოცირებულ პროფესორად, ასისტენტ-პროფესორად და გააგრძელებს იმ საქმეს, რასაც თქვენმა წინამორბედმა თაობებმა ჩაუყარეს საფუძველი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი კი მუდამ თქვენს უნივერსიტეტად დარჩება. მინდა გისურვოთ იყოთ ისეთივე წარმატებულები, როგორიც ამ უნივერსიტეტის საამაყო და სახელოვანი კურდამთავრებულები, რომ ამ უნივერსიტეტისთვის გააკეთოთ ის, რაც მათ შეძლეს...

დღევანდელი დღე განსაკუთრებულია იმიტომაც, რომ თქვენ გადადიხართ თქვენი ცხოვრების ახალ ეტაპზე, რაც სხვა ნებისმიერი პროფესიის შემთხვევაში ბევრად ადვილია, რადგან პირდაპირ გადიხარ შრომით ბაზარზე, თქვენ კიდევ ბევრი სწავლა და შრომა დაგჭირდებათ, რადგან აირჩიეთ პროფესია, რომელიც განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას და თავდადებას მოითხოვს, თუმცა, ამასთან ერთად, პრესტიჟული და საამაყოა მთელ მსოფლიოში. მჯერა, იგი კიდევ უფრო მეტად დაფასდება ჩვენს ქვეყანაშიც, რისი წინაპირობაც ბოლო წლებში განხორციელებული ცვლილებებია.

დარწმუნებული ვარ, თქვენი ცხოვრება და პროფესიული საქმიანობა იქნება წარმატებებით აღსავსე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი კი მუდამ იამაყებს თქვენი გამარჯვებებით!..

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ამერიკული პროგრამის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2019 წლის 7 ივნისს დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის პირველი გამოსაშვები საღამო გაიმართა. ეს მნიშვნელოვანი დღე თსსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ერთად, კურსდამთავრებულებს ემორის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, კურსდამთავრებულების მშობლებმა და საგანგებო სტუმარმა, ამერიკის ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ორგზის ჩემპიონმა, ზაზა ფაჩულიამ, მიულოცეს.

მსოფლიოში ცნობილი კალათბურთელი, რომელიც ამჟამად კლუბ „დეტროიტ პისტონსის“ ღირსებას იცავს, თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის გამოსაშვებ საღამოზე საპატიო სტუმარი გახლდათ. მან სიტყვით მიმართა კურსდამთავრებულებს და წარმატების მიღწევის მისეული წესები გაანდო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, ზაზა ფაჩულიასთან ერთად, კურსდამთავრებულები გამოსაშვები მანტიების სიმბოლური ყელსახვევებით შემოსეს და ექიმის დიპლომი გადასცეს.

აღსანიშნავია, რომ დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამას პირველი მიღების შვიდი კურსდამთავრებული ჰყავს: ნოდარ მაისურაძე, ქეთევან ობოლაშვილი, სოფიკო გიგოლაშვილი, ემანუელ სონია, ნიკოლოზ ბოსტაშვილი, თამარ თამარაშვილი და ფეტი ონალი.

გამოსაშვებ ცერემონიალზე დასასწრებად თსსუ-ს საგანგებოდ ეწვივნენ ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის პროფესორები ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტიდან: ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასისტენტ-დეკანი, გორდონ ჩერჩვორდი, ასოცირებული დეკანი, ჯოელ ფელნერი, ჰემატოლოგიისა და ონკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, მერი ჯო ლეკოვიჩი, ემორის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ემერიტუს-დეკანი, ნათანიელ გოზანსკი.

ღონისძიების მასპინძელი გახლდათ ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი და დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ხელმძღვანელი არჩილ უნდილაშვილი.

გამოსაშვებ ცერემონიალზე კურსდამთავრებულებმა თბილად გაიხსენეს თანაკურსელი და მეგობარი, მარიამ კაპანაძე. საზოგადოებამ პატივი მიაგო ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის პროფესორის, საქართველოსა და თბილისის საპატიო მოქალაქის, კენეტ ვოლკერის, ხსოვნას.

კურსდამთავრებულებმა პროგრამის დირექტორთან, პროფესორ ეკა ეკალაძესთან, ერთად, დადეს ექიმის ფიცი და სწავლის დასრულების ნიშნად, ქუდები აისროლეს.

თსსუ-ის კულტურის ცენტრის სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლის მომღერალ ვაჟთა გუნდმა საქართველოსა და ამერიკის ჰიმნები შეასრულეს.

ბატონმა გორდონ ჩერჩვორდმა თსსუ-ის კულტურის ცენტრის დირექტორს, ბატონ ბადრი მაჭავარიანს, ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის საპატიო ჯილდო გადასცა აშშ-ში ქართული კულტურის საუკეთესოდ წარმოდგენისთვის.

ნინი ზარდიაშვილი,
დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორის მოადგილე

დიდი იმედების გამართლებისთვის

სკოლის პერიოდში, როდესაც ბიოლოგიის მსოფლიო ოლიმპიადისთვის ქუთაისიდან თბილისში ჩამოვედით, ჩავუარეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შენობას და, გულწრფელად რომ ვთქვათ, „შეგვშურდა“ ეზოში ჩამომსხდარი სტუდენტების. ეს იყო სამედიცინო უნივერსიტეტთან ჩვენი პირველი შეხვედრა.

უნივერსიტეტში ჩაბარებისას უკვე ვაცნობიერებდით, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტობა უდიდესი სიამაყე და კიდევ უფრო დიდი პასუხისმგებლობაა. ვერასოდეს წარმოგვედგინა თავი სხვა პროფესიაში და განვლილმა ექვსმა წელმა დაგვარწმუნა არჩევანის სისწორეში. სტუდენტობის წლები აღმოჩნდა საუკეთესო და ყველაზე საინტერესო ჩვენს ცხოვრებაში. ამ პერიოდში იყო ბევრი თეთრად გათენებული ღამე, დამქანცველი დღე, თუმცა მედიცინაში არის აზარტი – რაც მეტად იღლები, მეტ ბედნიერებას განიჭებს ეს, რაც მეტი იცი, მეტი ცოდნა გწყურია.

სტუდენტობა იწყება გამოუცდელის გაფართოებული თვალებით, ინტერესით, ძიებით, იმის გაცნობიერებით, რომ შეაბიჯე სამყაროში, სადაც შენი ცოდნა არასდროსაა საკმარისი. ამ დროის განმავლობაში ჩვენ ვიპოვეთ ბევრი განსაკუთრებული ლექტორი, რომლებმაც თავდაუზოგავად იშრომეს ჩვენი ცოდნის გაღრმავებისთვის, პროფესიული ზრდისთვის, დაგვაყენეს ახალი გამოწვევების წინაშე, გვასწავლეს პაციენტებთან ურთიერთობა და დაიმსახურეს ჩვენი გულითადი პატივისცემა, აღტაცება და სიყვარული.

ეს წლები გარწმუნებს, რამდენად დიადია შენი პროფესია; ხედავ პაციენტს, რომელიც ექიმს აცნობს თავის გასაჭირს, ტკივილს, ანდობს თავის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს და ხვდები, რომ ერთ დღესაც შენ იქნები ჯაჭვი ადამიანსა და სიცოცხლეს შორის. ამის გაცნობიერებისას შეუძლებელია, სრული ძალისხმევა არ ჩადო შენს პროფესიულ სრულყოფაში.

მომავალ სტუდენტებს ვურჩევთ არასოდეს დაივიწყონ, რომ ჩვენ ვემსახურებით ყველაზე მთავარს და ღირებულს – ადამიანის სიცოცხლეს, ამიტომ ორიენტირებული ნუ იქნებით მხოლოდ გამოცდის ჩაბარებაზე, ისწავლეთ იმისთვის, რომ მომავალში პაციენტს გაუმართლოთ იმედი, რომელსაც თქვენში ხედავს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს ექვსი წელი ჩვენთვის დაუვიწყარი გახადა უნივერსიტეტის სახალხო ანსამბლმა, რომელმაც საშუალება მოგვცა, გვეგრძნო მაყურებლის სიყვარული როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებშიც. გირჩევთ სტუდენტობის წლები არ გალიოთ ერთფეროვნებაში, სწავლასთან ერთად, დრო დაუთმეთ თქვენთვის საყვარელ საქმიანობას. თუ ხართ ხელოვანი, გიყვართ ცეკვა, მუსიკა, გაიცანით ბატონი ბადრი და გაჰყევით მას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ქართული კულტურის დესპანებად.

გვიხარია, რომ სამედიცინო უნივერსიტეტი მუდმივი გარდაქმნის, განახლების პროცესშია, ჩვენ კი ამ წარმატებული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ვართ, რაც ბევრს გვაკისრებს სამომავლოდ!..

ლელა და ბელა ნიშნიანიძეები,
მედიცინის ფაკულტეტის
კურსდამთავრებულები

ამაყად ვდგავართ აქ, რაც ნამდვილად დავიმსახურეთ

ჩემთვის დიდი პატივი და პრივილეგიაა ჯგუფი-2019-ის სახელით საუბარი. პირველ რიგში, მადლიერების გრძნობით მინდა აღვნიშნო მათი წვლილი, რომელთაც დღევანდელი დღისთვის იზრუნეს – სტუდენტების, ოჯახის წევრების, მეგობრების, ფაკულტეტის წარმომადგენლების და პედაგოგების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, ჩვენთვის ეს დღე განსაკუთრებულად ლამაზი და გამორჩეულია. ამასთან, დიდი გულისტკივილით მსურს, გავიხსენო ისინი, რომლებიც დღეს, სამწუხაროდ, ჩვენ გვერდით აღარ იმყოფებიან; ადამიანი, რომელიც ყველაზე მეტად იამაყებდა დღევანდელი დღით, ჩვენთან უკვე აღარაა – პროფესორმა კენ ვოლკერმა საკუთარი მისია ბრწყინვალედ შეასრულა. იგი ჩვენი მასწავლებელი და მეგობარი გახლდათ. რომ არა იგი, დღეს აქ არ ვიქნებოდით. მის მემკვიდრეობას, ალბათ, დიდხანს გაიხსენებენ თაობები. ასევე ვისარგებლებ შემთხვევით და მოვიგონებ ჩვენს ჯგუფელ მარიამ კაპანაძეს, რომლის უდროოდ წასვლა ყველას მოუშუშებელ ჭრილობად გვექცა, მასთან დაკავშირებული მოგონებანი კი, ყოველთვის ბედნიერების განცდით აგვავსებს. მიჭირს გადმოცემა, თუ რამდენად დაგვაკლდება იგი. ეს დღე, ისევე ეკუთვნის მას, როგორც ჩვენ.

დღევანდელი დღე ჩემთვის გამოსაშვებ ცერემონიალზე მეტია. მინდა თითოეულმა თქვენგანმა საკუთარ თავს მიულოცოს ეს უდიდესი მიღწევა და აივსოს სიამაყის დიდი გრძნობით – ჩვენ ხომ სტუდენტურ ცხოვრებას ვამთავრებთ და ექიმები ვხდებით.

...მარტივი გზა არ გაგვივლია... უკვე შეგვიძლია უკან თავისუფლად მივიხედოთ და ვისაუბროთ იმაზე, რაც ამ პერიოდში დაგვიგროვდა, კერძოდ, მინდა გაგიზიაროთ იმ გამოცდილების შესახებ, წლევანდელი წლისგან რომ მივიღე, ესაა საკუთარი თავისთვის მარცხის პატიების უფლება. სამედიცინო სფეროში მოღვაწეობა რთულია; შეცდომები, რომელთა დაშვებაც მარტივია, მერე ძალზე ძვირად ფასობს. ჩვენ გავიზარდეთ განვლილი ტრენინგებით და სწავლის დასასრულს გვერგო თავისუფლება, რასაც უზარმაზარი მარცხის შესაძლებლობაც ახლავს. ექვსმა წელმა მომცა საშუალება, გამეაზრებინა, რომ ამ გზაზე ვერავინ გაივლის მარცხის გარეშე. თუმცა, არაუშავს, მთავარია, ამით კარგი გაკვეთილი მიიღო და გზა განაგრძო.

სამედიცინო სკოლის პერიოდი ჩვენთვის უამრავი ინფორმაციის დაგროვების და მათი უმეტესობის დავიწყების ექვსი წელიწადი იყო, თუმცა, დღეს ვაანალიზებ, რომ მნიშვნელოვანია, არა ფაქტების ცოდნა, არამედ მათი შეძენის პროცესი, მათი პაციენტთან გამოყენების შესაძლებლობა. პირველი დღიდანვე გვესმოდა: მედიცინა ის სფეროა, მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ სწავლობ; ამ ხნის მანძილზე გვქონდა შესაძლებლობა შესაბამისი უნარების გამოსამუშავებლად.

დღეს ჩვენ ამაყად ვდგევართ აქ, რაც ნამდვილად დავიმსახურეთ, თუმცა, ყველას კარგად გვაქვს გააზრებული ის, რომ ჩვენი ცხოვრების მომდევნო ეტაპი უდიდეს თავმდაბლობას მოითხოვს. მიუხედავად მკაცრი კურუკულუმებისა, მაინც ვერ გავხდით ყველაფრის მცოდნენი, თუმცა, წინ გრძელი გზაა, რთული და, ამასთან, ამაღელვებელი.

ყველანი საკუთარი გზით ვივლით. ვფიქრობ, თუ რა იქნება შემდგომში, რისი გაკეთება შეგვიძლია სანაცვლოდ, რის გაკეთებას შეძლებს ამერიკული პროგრამის პირველი გამოშვების კურსდამთავრებული, ჯგუფი-2019 – ექვსი წლის მანძილზე შევხვდით ხალხს, რომელთა დახმარებითაც დღეს აქ ვდგავართ, ანუ, როგორც იტყვიან „– როცა წარმატების კიბეს აივლი, არ დაგავიწყდეს მისი ჩამოშვება თქვენ უკან მყოფთათვის“. ბოლომდე დარწმუნებული ვარ, რომ მე და ჩემი ჯგუფელები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოების აქტიურ წევრებად დავრჩებით და მაქსიმალურად დავეხმარებით შემდგომ თაობებს – გადავცემთ ჩირაღდანს ჩვენს უმცროს მეგობრებს, უკვე დადგა დრო, როცა მათ უნდა ატარონ და უფრო შორს წაიღონ იგი.

ნოდარ მაისურაძე,
დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის კურსდამთავრებული

თსსუ-ის სტუდენტობა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბების წინაპირობაა

მაქვს პატივი, გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება და მადლიერება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, როგორც მაღალი სტანდარტების მქონე საგანმანათლებლო ინსტიტუტის და აქ მოღვაწე ადამიანების მიმართ. უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა და გამოცდილება არის ჩემი, როგორც მომავალი მაღალკვალიფიციური სპეციალისტის, ჩამოყალიბების და პროფესიული თავდაჯერებულობის გარანტი. თითქმის საუკუნოვანი არსებობის შედეგად დაგროვილი გამოცდილების წყალობით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დღემდე ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი სასწავლო დაწესებულებაა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. ამას სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის მსურველთა ყოველწლიურად მზარდი კონტინგენტი ადასტურებს, რომელთაგან ათასობით რჩეულ ქართველ და უცხოელ ახალგაზრდას ენიჭება სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი.

იყო სამედიცინო უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტი, ნიშნავს, გქონდეს უდიდესი პასუხისმგებლობა აკადემიური პერსონალის, სტუდენტების თუ ოჯახის წევრების მიმართ; ერთი მხრივ, შენი წარმატება შედეგია ლექტორების თავდაუზოგავი შრომისა, რომლებიც მაქსიმუმს აკეთებენ, რათა ღირსეულ პროფესიონალად ჩამოყალიბდე, ხოლო, მეორე მხრივ, კარგი სტუდენტები ქმნიან კონკურენტულ გარემოს გარშემომყოფთათვის, მაღალი მოტივაციის და ჯანსაღი ამბიციის გათვალისწინებით. ამ პროცესში გადამწყვეტია თავად უნივერსიტეტში არსებული გარემო, რომელიც ყველას ერთნაირად აძლევს საშუალებას/რესურსს, მიიღოს კარგი განათლება.

სწრაფი გლობალიზაციისა და სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე უნივერსიტეტის პერსონალი გამუდმებით ცდილობს, ფეხი აუწყოს საგანმანათლებლო თუ პრაქტიკული მედიცინის სფეროში მიმდინარე პროცესებს, დანერგოს სიახლეები, ბევრი კეთდება და ბევრიც გასაკეთებელია, განსაკუთრებით – პრაქტიკული სწავლების თვალსაზრისით, რომ სტუდენტთა დიდი კონტინგენტის არსებობის პირობებში, ყველა სტუდენტმა შეძლოს, თეორიულ ცოდნასთან ერთად, მიიღოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

მინდა ჩემს თანატოლებს, 2019 წლის კურსდამთავრებულებს, უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის დასრულება მივულოცო. ვუსურვებ მათ პროფესიულ განვითარებას და კარიერულ წინსვლას, ხოლო მომავალ თაობებს, ვისაც გადაწყვეტილი აქვს ემსახუროს ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის ურთულეს საქმეს, – წარმატებულ სტუდენტობას სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორიულ კედლებში.

დიდი პატივისცემით და მადლიერებით, მუდამ თქვენი გულშემატკივარი

მარიამ მათეშვილი,
საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ფაკულტეტის კურსდამთავრებული

ტრადიციებით მომავლისკენ

პროფესია, რომელზეც ბავშვობიდან ვოცნებობდი, 2014 წელს მექცა რეალობად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი.

დაუვიწყარი იყო სწავლის დაწყების პირველი დღე, სიხარულით და დაბნეულობით აღსავსე, ურთულესი გზა უნდა გამევლო – იწყებოდა საკუთარი თავის პოვნის, ცოდნის შეძენის საინტერესო წლები. მაღალკვალიფიციურმა პროფესორ-მასწავლებლებმა არა მარტო პროფესია შეგვასწავლეს, არამედ შეგვაცნობინეს რას ნიშნავს იყო ნამდვილი ექიმი, დიდი პიროვნული თვისებებით.

თსსუ-ის სტუდენტობა დიდი პასუხისმგებლობაა და თავდაუზოგავ შრომას, ძიებას მოითხოვს. საამაყო, საპასუხისმგებლო და, ამავდროულად, წამახალისებელი იყო წარჩინებული სტუდენტისა და სტიპენდიატის სტატუსი საუკეთესო უნივერსიტეტში.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა პირველი პაციენტი, რომლის მადლიერებამ ძალიან გამახარა. სტუდენტობისას შესაძლებლობა გვქონდა მოგვესმინა უცხოელი პროფესორების ლექციები, გავცნობოდით თანამედროვე სტომატოლოგიის სიახლეებს.

მადლობა მინდა გადავუხადო სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ სამსონ მღებრიშვილს, რომლის ხელმძღვანელობით და დამსახურებით სტომატოლოგიის ფაკულტეტი ისევ რჩეულთა შორის რჩება. დეკანის მოადგილეს, ყველასთვის უსაყვარლეს პიროვნებას, საუკეთესო პედაგოგს და თითოეული ჩვენგანის „მეორე დედას“, პროფესორ ნანა ყიფიანს, დეკანატის თანამშრომელს – ქალბატონ მარიკა სადაღაშვილს, რომელიც კეთილსინდისიერად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, თითოეულ პროფესორ-მასწავლებელს გაწეული შრომის, ცოდნის და გამოცდილების გაზიარებისთვის.

განსაკუთრებული მადლობა რექტორს, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, მისი დამსახურებაა, რომ თსსუ საუკეთესოთა შორის საუკეთესოა.

ამაყი და ბედნიერი ვარ, თსსუ-ის კურსდამთავრებული რომ მქვია, სადაც მრავალი სახელოვანი ექიმი, მეცნიერი და პიროვნება აღიზარდა, წარმატებას და წინსვლას გისურვებთ – „ტრადიციებით მომავლისკენ“.

თინათინ გუთეიშვილი,
სტომატოლოგიის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

ალმა-მატერზე

დაბრუნდით და ისწრაფეთ სამშობლოს კეთილდღეობისთვის

2015 წელს გადავწყვიტე პირველი სერიოზული ნაბიჯი გადამედგა და მომავალი დამეკავშირებინა პროფესიასთან, რომელიც ქვეყნის განვითარების დონისა და წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე – „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“ – სწავლისას ნათლად დავინახე ამ სფეროში არსებული პრობლემების აქტუალობა და მათი გადაჭრის რეალური პერსპექტივა.

ბაკალავრიატის ოთხმა დაუვიწყარმა წელმა ჯანდაცვის სისტემის საფუძვლების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების გააზრების საუკეთესო საშუალება მომცა. პარალელურად, მრავალფეროვანმა, ერთმანეთისგან განსხვავებულმა, მაგრამ, ამავდროულად, ჯანდაცვასა და სოციალურ სფეროსთან დაკავშირებულმა სტაჟირებებმა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის (NCDC&PH) არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის ჯანმრთელობის ხელშეწყობის სამმართველოში, დამანახა თუ როგორ მუშაობს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურა ჩვენს ქვეყანაში; შშმ პირების მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაცია – „ხელი ხელს“, რომლის მიზანიცაა საქართველოში დეინსტიტუციალიზაცია, დამეხმარა დამენახა და გამეთავისებინა როგორც შშმ პირების, ისე დიდი ინსტიტუციების რეალური პრობლემები საქართველოში; ასევე, ბევრი შემძინა თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ეპიდემიოლოგიური კონტროლის დეპარტამენტმა, სადაც პირისპირ აღმოვჩნდი ისეთ გლობალურ პრობლემასთან, როგორიცაა ანტიბიოტიკორეზისტენტული ჰოსპიტალური შტამების პრევენცია და მათგან მიყენებული ზარალის მენეჯმენტი; მსოფლიოში უპრეცედენტო, C ჰეპატიტის ელიმინაციის წარმატებული პროგრამის ფარგლებში ჩართულობამ ბევრი რამ მასწავლა, მოტივაცია შემმატა და შეუქცევადი პროგრესის იმედი ჩამისახა. ქვეყანასა თუ მის ფარგლებს გარეთ მოგზაურობამ, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა თუ სხვა აქტივობებში მონაწილეობამ კი, ცოდნის მიღებასა და საკუთარი შესაძლებლობების რწმენასთან ერთად, სურვილის და მონდომების შემთხვევაში, ადამიანის უსაზღვრო შესაძლებლობებში დამარწმუნა. საქართველოში საფრანგეთის იმიგრაციისა და ინტეგრაციის ოფისში ჩემმა სტაჟირებამ, რომელიც მოიცავდა სამშობლოში დაბრუნებული ბენეფიციარების დასაქმების ხელშეწყობასა და ქვეყნის ფარგლებში მათ ინტეგრაციაზე ზრუნვას, კიდევ უფრო გააღვივა ჩემი წვლილის შეტანის და კვალის დატოვების სურვილი საქართველოში არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრის უკეთ ორგანიზების თვალსაზრისით.

დაბოლოს, განათლების საერთაშორისო ცენტრის, საფრანგეთის საელჩოსა და „კამპუს ფრანსის“ სამაგისტრო პროგრამის სტიპენდია (2019-2020) ჩემი ახდენილი ოცნებაა, ჩემი მიზნების რეალიზების საუკეთესო საშუალება, რომელიც შანსს მაძლევს განათლება მივიღო საფრანგეთში – ჯანდაცვის და სოციალურ სფეროში უდიდესი გამოცდილების მქონე წარმატებულ ქვეყანაში და შემდგომ ჩემი ცოდნა და გამოცდილება მოვახმარო ჩემს სამშობლოს.

როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის – „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“ – კურსდამთავრებული, სტუდენტებს ვურჩევდი, მიუხედავად სირთულეებისა, შეუპოვრად იარონ დასახული მიზნისკენ, რომლის მისაღწევადაც აუცილებელია იზრუნონ არა მარტო აკადემიურ მოსწრებაზე, არამედ, ზოგადად, ცოდნის გაღრმავებაზე ჩვენს ქვეყანასა თუ მის ფარგლებს გარეთ, რაშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭება უცხო ენების ცოდნას. გადით საერთაშორისო ასპარეზზე, ნებისმიერ ქვეყანაში თავი იგრძენით ისე, როგორც საკუთარ სახლში, მაგრამ ისწრაფეთ თქვენს სამშობლოში იმ პროგრესის მისაღწევად, რომელიც ასე გვხიბლავს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში.

თამარ მაზიაშვილი,
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

მთავარი პროფესიონალიზმია

„რა სწრაფად გადის დრო,“ – თითქმის ყოველდღე გვესმის. ვფიქრობ, პრობლემა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურ რუტინულ ერთფეროვნებაშია. გასახსენებელი ძალიან ცოტა გვრჩება თითოეული დღიდან და ვიგონებთ რა განსაკუთრებულ წუთებს წარსულიდან, გვრჩება ილუზია, რომ დრო გაფრინდა. ცხადია, უნივერსიტეტში, სადაც ჩემი ცხოვრების 6 წელი სასწავლო გეგმით ყოველდღიურად იყო გაწერილი, დრო სწრაფად გავიდა, თუმცა ეს პერიოდი, გარდა სწავლისა, სავსე იყო უნივერსიტეტ-გარე აქტივობებით სამეგობრო წრეში, ასე რომ, ჯამში, სტუდენტობის წლები ტკბილ მოგონებად დარჩება. განსაკუთრებული სიყვარული მინდა გამოვხატო ჩემი 22-ე ჯგუფის მიმართ – მეამაყება, რომ ერთ-ერთი იმ იშვიათ გამონაკლისთაგანი ვიყავით, ვინც დღემდე პირველი სემესტრის შემადგენლობით მოვაღწიეთ.

ჯამში, უნივერსიტეტში გატარებულმა წლებმა, ყველაზე ღირებული – მეგობრები – შემძინა და, ცხადია, ცოდნა. ვისურვებდი, რომ ყველა ჩვენგანს ღირსეულად გაევლოს ის პროფესიული გზა, რომელიც შეგნებულად ავირჩიეთ და ამ შრომას ჰქონდეს შესაბამისი დაფასება მომავალში. გული მწყდება, რომ უნივერსიტეტის რეალურად წარმატებულ სტუდენტთა ნაწილმა, შესაძლოა, საქართველოში არ იღვაწოს, რაც, უპირველესად, ქვეყნის პრობლემა იქნება. მედიცინა დღითიდღე სულ უფრო კომერციული სფერო ხდება და „ბრძოლის“ ერთადერთი საშუალება პროფესიონალიზმია – ნიჭის, პიროვნული თვისებების, შრომის და მიზანდასახულობის ერთობა. სწორედ ამას ვუსურვებ მომავალ თაობასაც, რომელიც თბილისის სახელწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გააგრძელებს სწავლას.

ლაშა კოჩიევი,
მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

ცოდნა – პროფესიული განვითარების საწინდარი

უკვე კურსდამთავრებულის ამპლუაში შემიძლია შევაჯამო თსსუ-თან ურთიერთობის წლები და საკუთარ თავს ვკითხო: – რა მომცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა?

ნამდვილად არ იქნება ბანალური თუ ვიტყვი, რომ იყო თსსუ-ის სტუდენტი საამაყო და საპასუხისმგებლოა. მარტივი არ იყო პირველი სტუდენტური ნაბიჯების გადადგმა, შეჩვევა იმისა, რომ თეთრი ხალათი პროფესიონალად ჩამოყალიბებას და ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს გავალებს, ამის მისაღწევად ბევრი შემხვედრი სირთულეა, მაგრამ დღეს შემიძლია თამამად ვთქვა,რომ თსსუ-ში შექმნილია ისეთი გარემო, სადაც რთული წუთებიც კი სასიამოვნო ხდება.

სამედიცინო უნივერსიტეტში ცხოვრების უმნიშნელოვანესი წლები გავატარე, მივიღე ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც აუცილებლად იქნება ჩემი პროფესიული განვითარების საწინდარი. მინდა აღვნიშნო უმთავრესი – ვისწავლე არჩეული პროფესიის სიყვარული, რადგანაც წარმოუდგენელია ემსახურო იმ საქმეს, რომელიც არ გიყვარს. დიდი მადლობა თითოეულ პროფესორ-მასწავლებელს, რომელმაც მცირედი წვლილი მაინც შეიტანა ჩვენს განვითარებასა და წინსვლაში.

შევიძინე საუკეთესო მეგობრები, ახალი სახეები, რომლებთანაც შესანიშნავი პერიოდი გავატარე. მადლობა მინდა გადაუხადო ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანატის თანამშრომლებს, დეკანს, ქალბატონ ლელა მასხულიას, სტუდენტებთან ღია თანამშრომლობისთვის, მუდმივად გვერდში დგომისა და სტუდენტებზე ორიენტირებული გარემოს შექმნისთვის.

თსსუ-ის კურსდამთავრებული კი მქვია, მაგრამ ჩემს პედაგოგებთან, თანამშრომლობა და მეგობრობა კვლავ გაგრძელდება – მომავალი წარმატებების საწინდრად.

თამარ ციციშვილი,
ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

არჩევანის გამართლება

დღეს, როცა უკან დარჩა სტუდენტობის საუკეთესო წლები და მალე პროფესიულ საქმიანობას შევუდგებით არჩევანის სისწორეში საბოლოოდ დავრწმუნდი.

სწავლის პირველივე დღიდან ნათელი გახდა თსსუ-ის პრიორიტეტულობა საერთაშორისო ასპარეზზე. პროფესორ-მასწავლებლების მაღალკვალიფიციურობა უდიდეს სტიმულს მაძლევდა, მიმეღო სრულფასოვანი ცოდნა. ყოველთვის ვცდილობდი, არცერთი სიტყვა არ დამრჩენოდა უყურადღებოდ და შედეგსაც შესაბამისს ვიღებდი.

თსსუ-ში სრულყოფილი გარემოა შექმნილი ნიჭიერი, მონდომებული და მიზანდასახული სტუდენტებისთვის: – თანამედროვე სტანდარტის ინფრასტრუქტურა, სტუდენტზე მორგებული ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, საუნივერსიტეტო აქტივობები.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, სწავლის წლები მარტივი როდი იყო – ბევრი შრომა და თეთრად გათენებული ღამე გახდა საჭირო დასახულ მიზნამდე მისასვლელად –მაღალრეიტინგული სტუდენტი ყველა სემესტრში პრეზიდენტის და ასევე „გეფას“ სტიპენდიატი ვიყავი, მოვიპოვე დ.საგანელიძის სტიპენდიატის სტატუსი. ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი რეზულტატად ღირდა.

დღეს ამაყი ვარ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული რომ მქვია.

რაც შეეხება თავად პროფესიას, ფარმაციის ფაკულტეტს ყოველთვის განვიხილავდი უფრო ფართოდ, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს, რადგანაც ის მოიცავს ჩემთვის ძალიან საინტერესო და საყვარელ ქიმიურ და ტექნოლოგიურ პროცესებს. ამ მიმართულებით დაინტერესებული პირველსემესტრელისთვის, თსსუ-ში აღნიშნული ფაკულტეტი საუკეთესო გადაწყვეტილებაა.

მიზანდასახულობითა და შრომისმოყვარეობით მიიღწევა სასურველი შედეგი, რადგანაც შეუძლებელი არაფერია, შრომა ყოველთვის ფასდება.

ნინო არბოლიშვილი,
ფარმაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

პირველი ნაბიჯი

ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა ერთ-ერთი რთული და საპასუხისმგებლო, ამასთან – საინტერესო და კეთილშობილური საქმიანობაა. ჩემი პროფესიული არჩევანი სწორედ ადამიანების დახმარების სურვილმა განაპირობა და, ეროვნული გამოცდების შემდეგ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი. ჩემი დიდი სურვილი სწორედ ამ უნივერსიტეტში სწავლა იყო და დღეს, ოთხი წლის შემდეგ, თამამად შემიძლია ვთქვა: ბედნიერი ვარ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ვარ და მინდა მადლიერება გამოვხატო ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვისაც ჩვენზე ზრუნვისა და პროფესიონალებად ჩამოყალიბებისთვის მცდელობა არ დაუკლია.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ბევრი ვისწავლე, გამოცდილებაც მივიღე პროფესიული თუ საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით; შევიძინე უამრავი მეგობარი – მომავალი კოლეგა, რომლებთანაც აუცილებლად შევინარჩუნებ ურთიერთობას მომავალშიც, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი კი ჩემთვის ყოველთვის დარჩება ერთ-ერთ საყვარელ ადგილად, რომელშიც პროფესიული წინსვლისთვის პირველი ნაბიჯი გადავდგი.

თეკლა წიკლაური,
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

2019 წლის კურსდამთავრებულები ალმა-მატერზე

მეამაყება, რომ თსსუ-ის კურსდამთავრებული ვარ

სკოლის დამთავრების შემდეგ იწყება ცხოვრების ახალი ეტაპი. უნივერსიტეტის არჩევა არ არის მარტივი, რადგან მასზეა დამოკიდებული მომავალი კარიერული წინსვლა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ყოველთვის ჰქონდა ლიდერი უნივერსიტეტის სახელი, ამიტომ არჩევანის გაკეთება არ გამჭირვებია. მეგონა, რთული იქნებოდა ახალ გარემოსთან და ხალხთან შეგუება, თუმცა, ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. სასიამოვნო გარემომ და პროფესორ-მასწავლებლების კეთილგანწყობამ თავი კომფორტულად მაგრძნობინა. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ ჩვენთვის სრულფასოვანი განათლების გადმოსაცემად, არ იშურებდნენ დროსა და ენერგიას. სასწავლო დეპარტამენტები აღჭურვილია ყველა საჭირო ხელსაწყო-დანადგარით, რაც სწავლას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის.

გარდა ამისა, სტუდენტები განებივრებულნი ვიყავით უცხოელ პროფესორთა ლექციებით, რაც საშუალებას გვაძლევდა გავცნობოდით მსოფლიოში მიმდინარე სამედიცინო პროცესებს, ახალ მიღწევებსა და აღმოჩენებს.

თსსუ-ში ბევრი წარჩინებული სტუდენტი სწავლობს, რაც მოდუნების საშუალებას არ გაძლევს და ერთგვარი სტიმულია იმისა, რომ თავდაუზოგავად იშრომო და გამოავლინო საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი, შრომა კი აუცილებლად დაფასდება. არასოდეს დამავიწყდება ის ემოცია, რაც პრეზიდენტის სტიპენდიის პირველად მოპოვების შემდეგ დამეუფლა, ეს იყო საუკეთესო განცდა.

დაარსების დღიდან თსსუ მოწოდების სიმაღლეზე დგას და პირველობას არ უთმობს არც ერთ უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელს. მეამაყება, რომ იმ უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ვარ, რომელიც ქმნის ჩვენი ქვეყნის მედიცინის მომავალს.

თეონა ფრუიძე,
ფარმაციის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

ლირსეული სვლა მომავლისკენ

ბავშვობიდანვე მხიბლავდა „ექიმობანას“ თამაში. მხიბლავდა და უცნაური ძალით მიზიდავდა თოვლივით თეთრი ხალათი, რა არ გამოსჭვივის ამ სითეთრიდან: იმედი, ნდობა, სიკეთე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მტკიცე გადაწყვეტილებით მოვედი – შემესწავლა სტომატოლოგის პროფესია, შვება და იმედი მიმენიჭებინა ადამიანებისთვის.

ბედნიერი ვარ, რომ სტუდენტობის საუკეთესო წლები დაკავშირებული იყო ისეთ ადამიანებთან, რომლებმაც თავდაჯერება შემმატეს, შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენის საშუალება მომცეს და მუდამ მზად იყვნენ დამხმარებოდნენ. მათ კიდევ უფრო შემაყვარეს ჩემი პროფესია, მადლობას ვუხდი თსსუ-ის რექტორს, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ სამსონ მღებრიშვილს, დეკანის მოადგილეს, პროფესორ ნანა ყიფიანს, ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ მარინა მამალაძეს, თითოეული სტუდენტისთვის თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის, თუმცა მადლიერება მხოლოდ სიტყვით არ გამოიხატება, ჩემი ვალია, ღირსეულად გავაგრძელო დაწყებული საქმე.

მარიამ ცაბაძე,
სტომატოლოგიის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

ახალი სიცოცხლის სამსახურში

ოთხი წლის, წინ იმედებით აღსავსემ, ფეხი შემოვდგი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. სტუდენტობის ყოველი დღე სიახლეებით აღსავსე და დასამახსოვრებელია ჩემთვის. სწავლის პერიოდში ურთიერთობა მქონდა გასაოცარ ლექტორებთან, რომლებმაც მომავალი პროფესიისადმი ინტერესი გამიღვივეს.

სწორედ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შევძელი პროფესიული ცოდნის მიღება, განვითარება და პიროვნებად ჩამოყალიბება. ბავშვობიდან ვოცნებობდი რა მედიცინის სფეროში მოღვაწეობაზე, თსსუ-მა მომცა საშუალება ოცნების ახდენის. გავიცანი ბევრი საინტერესო ადამიანი, რომლებმაც ჩემს ცხოვრებაში გარკვეული როლი ითამაშეს; აღსანიშნავია, საექთნო საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელობის მიერ გამოჩენილი ყურადღება საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც ბებიაქალის პროფესიის დაუფლებას შეეხებოდა. იყო პერიოდები, როდესაც ვორჭოფობდი და ვფიქრობდი, შევძლებდი თუ არა ბებიაქალობას, სწორედ პროგრამის ხელმძღვანელობის მხარში დგომით, გავხდი საექთნო საბაკალავრო პროგრამის (ბებიაქალის) პროგრამის კურსდამთავრებული.

საოცარი გრძნობა დამეუფლა, როდესაც მონაწილეობა მივიღე ამქვეყნად ჩემთვის პირველი სიცოცხლის მოვლინებაში. ახალშობილის ტირილით მივხვდი, საჭირო ადგილას ვიდექი, – სადაც მომავლის ადამიანები იბადებიან, პროფესიული მოვალეობის პირნათლად შესრულება დედის სიხარულის თანამონაწილედ გხდის და პროფესიის არჩევანის სისწორეში კიდევ ერთხელ გარწმუნებს.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო პირველ სამედიცინო ცენტრს, სადაც დავეუფლე ბებიაქალისთვის საჭირო პრაქტიკულ და კლინიკურ უნარ-ჩვევებს.

დღეს ბედნიერი ვარ, რადგან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მქვია.

ილონა ბოსტანჯიანი,
საექთნო საბაკალავრო (ბებიაქალი)
პროგრამის კურსდამთავრებული

ოცნება რეალობად მექცა



ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ჩემი მომავალი პროფესია სამედიცინო სფეროსთან იქნებოდა დაკავშირებული, თუმცა, არ მქონდა გადაწყვეტილი ექთნობა. თავი უფრო რეაბილიტაციის სფეროში წარმომედგინა, ჩემი მეორე პროფესიიდან გამომდინარე (ტაეკვონდოთი უკვე 12 წელია დაკავებული ვარ), მაგრამ ასე არ მოხდა და თსსუ-ის ქართულ-ავსტრიული საექთნო საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი გავხდი. პროგრამის ინტერესებიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა გერმანული ენის შესწავლა, რაც ჩემთვის დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. ფაქტობრივად, ყოველგვარი საწყისის გარეშე დავიწყე გერმანული ენის სწავლა, რაშიც, ვფიქრობ, ჩემი სპორტული ხასიათი დამეხმარა (მიზნისთვის ბრძოლა) და დაუღალავი შრომის ფასად მოვხვდი ინსბრუკის საუნივერსიტეტო კლინიკაში. შემიძლია ხმამაღლა ვთქვა, რომ ოცნება რეალობად მექცა. ინსბრუკის საუნივერსიტეტო კლინიკაში ყოფნის პერიოდში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ექთანი არის სამედიცინო გუნდის სრულუფლებიანი წევრი.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ყველას, პირველ რიგში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს და ავსტრიულ მხარეს, თითოეულ ადამიანს, ვისაც წვლილი მიუძღვის ამ პროგრამის შექმნაში. ქართულ-ავსტრიული საექთნო საბაკალავრო პროგრამა გერმანული ენის მცოდნე სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, სტაჟირება გაიარონ ინსბრუკის საუნივერსიტეტო კლინიკაში.

მოხარული ვარ, რომ თსსუ-ში შექმნილმა გარემომ, პედაგოგებმა, სასწავლო პროგრამებში ჩართულობამ საფუძვლიანი განათლება მომცა, რომელიც შემდგომი პროფესიული საქმიანობის ქვაკუთხედია.

ანი ბარბაქაძე,
ქართულ–ავსტრიული საექთნო
საბაკალავრო პროგრამის
კურსდამთავრებული

წარმატებას გისურვებთ

სტუდენტობის ხანა ერთ-ერთი უმნიშნელოვანესია ადამიანის განვითარებისა და სოციალური ინტეგრირებისთვის. აბიტურიენტობისას სხვადასხვა უნივერსიტეტზე ვფიქრობდი, თუმცა, საბოლოო არჩევანი თსსუ-ზე შევაჩერე და ვფიქრობ, ეს სწორი ნაბიჯი იყო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი საშუალებას გაძლევს, იყო აქტიური სტუდენტი და ხარისხიანი განათლება მიიღო. იგი, ამ მხრივ, ერთ-ერთი მოწინავეა საქართველოს მასშტაბით. ჩემი ყოველდღიური სტუდენტური ცხოვრება საკმაოდ საინტერესო და სიახლეებით აღსავსე იყო. გამოცდილმა პედაგოგებმა გვასწავლეს, რომ ექიმობა განსაკუთრებულ მზაობას, შინაგან მოწოდებას შრომას, ზრუნვას, ჰუმანურობას, პაციენტთან ურთიერთობისას გასათვალისწინებელ ასპექტებს მოიცავს, და მხოლოდ მონდომებითა და შრომით მიიღწევა სასურველი მიზანი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ყოველთვის ამაყობდა და იამაყებს თავისი სახელოვანი კურსდამთავრებულებით, რომლებთანაც თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

გისურვებთ წარმატებას.

გელა გესელაშვილი,
ფიზიკური მედიცინის და
რეაბილიტაციის
ფაკულტეტის კურსდამთავრებული

საუკეთესო სურვილები მომავალ კოლეგებს

ნიკა გვაზავამ დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხით დაასრულა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. მისმა გატაცებამ, შეესწავლა ბაზისური მოლეკულური მექანიზმები, რომელიც საფუძვლად უდევს დაავადების განვითარებასა და პათოგენეზს, გადააწყვეტინა ერთწლიანი სტაჟირება ნეირომეცნიერებებისა და ღეროვანი უჯრედების დარგში გაევლო, პროფესორ ზაალ კოკაიას ზედამხედველობით, შვედეთში, ქ. ლუნდის უნივერსიტეტის ღეროვანი უჯრედების ცენტრში. ამჟამად ნიკა ჩართულია ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროექტში – თაგვის თავის ტვინის ქერქის ინსულტის მოდელი – გლიური უჯრედების პირდაპირი რეპროგრამირება ნეირონებად.

სიცოცხლით სავსე სტუდენტური ცხოვრება ჰქონდა – იყო საქართველოს მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, რამდენჯერმე გენერალური ასამბლეის დელეგატი, ოთხ ასამბლეაზე კი საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა.

სტუდენტური წლები პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტში გაატარა, პროფესორ რამაზ ჩიხლაძის, ხელმძღვანელობით. მისი აღნიშვნით, სწორედ აქ შეისწავლა, თუ როგორ უნდა შეძლო, ჩამოყალიბდე კარგ ექიმად და ჭეშმარიტ მეცნიერად, ამიტომაც ნიკა განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით იხსენებს ბატონ რამაზ ჩიხლაძეს, ქალბატონებს – მანანა ახალაიას, მარიამ ლორთქიფანიძეს და თამარ სალაძეს.

ამჟამად ნიკა უცხოეთიდან შემოგვიერთდა: – ყოველთვის დიდი ინტერესით და სიხარულით ვადევნებ თვალს მშობლიური სამედიცინო უნივერსიტეტის წარმატებებს, როგორც შინ, ასევე, საერთაშორისო ასპარეზზე და ვამაყობ, რომ საქართველოს საუკეთესო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ვარ. საუკეთესო სამომავლო სურვილებით მივესალმები ამ ახალგაზრდებს, მომავალ კოლეგებს, რომლებსაც წარჩინებულ ცხოვრებას, წარმატებულ საექიმო კარიერასა და მადლიერ პაციენტთა სიმრავლეს ვუსურვებ – თავდადებული ყოველდღიური შრომა საუკეთესო მომავლის გარანტია; ეცადეთ, სისტემატური მეცადინეობით, მაქსიმალური მონდომებით, თამამად გაუსწოროთ თვალი თანამედროვე მოთხოვნებს და საკუთარი წვლილი შეიტანოთ მედიცინის განვითარებაში.



თვალსაჩინო ქირურგის გახსენება

სამი წლის წინ ქართველი საზოგადოება გამოეთხოვა ქვეყანაში ლაპაროსკოპიული ქირურგიის ლიდერს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის №1 ქირურგიული დეპარტამენტის პროფესორს, მერაბ კილაძეს, რომლის სახით საქართველომ დაკარგა თანამედროვე ქირურგიული ელიტის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ღირსეული პიროვნება, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა კი – ქართული ქირურგიული სკოლის ერთ-ერთი ლიდერი, სამაგალითო პროფესორი, მაღალინტელექტუალური ექიმი და საამაყო კურსდამთავრებული. მერაბ კილაძემ ქართულ ქირურგიაში ლაპაროსკოპიული ეპოქა შექმნა, ეპოქა, რომელმაც რადიკალურად შეცვალა სამამულო ქირურგიის შესაძლებლობანი.

29 მაისს მშობლიურმა უნივერსიტეტმა აწ უკვე მარადისობაში გადასული დიდი კაცის ხსოვნის საღამოს უმასპინძლა, რომლის ორგანიზატორები, ასევე, იყვნენ საქართველოს მცირე ინვაზიურ ქირურგთა საზოგადოების თავმჯდომარე, პროფესორი თენგიზ ჩართოლანი და ქართულ-იტალიური კლინიკის დირექტორი, პროფესორი დავით აბულაძე. შეხვედრაზე ბატონმა მამუკა ნაცვალაძემ წარმოადგინა მერაბ კილაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მის მიერ შედგენილი წიგნი, რომელმაც უზომო სიყვარული და ტკივილი დაიტია.

პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, გულთბილად გაიხსენა წარმატებული პროფესორი, მაღალკვალიფიციური, კომპეტენტური და შესანიშნავი ქირურგი, მუდამ პროფესიული სიახლეებისა და ინოვაციებისკენ რომ მიისწრაფოდა და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მის მრავალწახნაგოვან ბუნებას და ნიჭიერებას.

გამომსვლელებმა: საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ, პროფესორმა ზაზა ბოხუამ, ასევე, კლინიკა – ,,კარაპს მედლაინის'' მერაბ კილაძის სახელობის ზოგადი და მინიინვაზიური ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, მედიცინის აკადემიურმა დოქტორმა, დავით ელგანდაშვილმა, თსსუ-ის მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტის ქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა გია თომაძემ, თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ქირურგიის №1 დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ნოდარ ლომიძემ, მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა დიმიტრი კორძაიამ, პროფესორებმა: მერაბ კილაძემ, თენგიზ ჩართოლანმა, ლადო ჭიპაშვილმა, გია ხვადაგიანმა, გიორგი გეგელაშვილმა, სითბოთი გაიხსენეს თავიანთი კოლეგა, რაინდული სულის პიროვნება, ქირურგიის ვირტუოზი, ადამიანებისა და მედიცინის დიდი სიყვარულით გამორჩეული კაცი.

საღამოზე აჩვენეს ტელეკომპანია ,,პულსის'' მიერ გადაღებული სატელევიზიო ფილმები, რომელიც ბატონი მერაბ კილაძის საქმიანობის და ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებს ასახავდა; ამ ფილმით კიდევ ერთხელ ითქვა, რომ მის პიროვნებაში გაერთიანებული იყო, ერთი მხრივ, ქირურგის პროფესიული ხელოვნება და შეუპოვრობა, ასევე, ურთიერთობის კულტურა, თავმდაბლობა, იმერული თავაზიანობა, ქართული ხელგაშლილობა და ქრისტიანული დამოკიდებულება ადამიანების მიმართ.

დასასრულს, გიორგი კილაძემ, აუდიტორიას მადლობა გადაუხადა მამის ხსოვნის პატივისცემისა და დაფასებისთვის; მისი აღნიშვნით, რომ არა ოჯახისადმი საზოგადოების დიდი მხარდაჭერა და თანადგომა, მათთვის წარმოუდგენლად მძიმე იქნებოდა ამ უდიდესი ტრაგედიის გადატანა.

დარეჯან კომლაძე

რობერტ ქარჩხაძე

ქართველი ექიმი და ცნობილი ბიოქიმიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი რობერტ ქარჩხაძე დაიბადა ქუთაისში, 1928 წელს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობას იწყებს პრაქტიკოს ექიმად – 1951-1953 წლებში იყო დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკის ქ. მახაჩკალის რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი. 1953-1964 წლებში მუშაობდა თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჯერ მეცნიერ-მუშაკად, შემდეგ – ანტიტოქსიკური შრატების (დიფტერია, ტეტანუსი) წარმოების განყოფილების გამგედ. 1964 წელს რობერტ ქარჩხაძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია მოსკოვის ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში თემაზე – „დიფტერიისა და ტეტანუსის შრატების წარმოებისა და მათი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“.

1964-1966 წლებში რობერტ ქარჩხაძე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგედ, ხოლო 1966-2006 წლებში – ამავე ლაბორატორიის ბიოქიმიის განყოფილების გამგედ. რობერტ ქარჩხაძე, წამყვანი სპეციალისტის რანგში, 2006-2013 წლებში მონაწილეობდა ფარმაკოლოგიური საშუალებების ექსპერიმენტულ შესწავლაში, ამავე დროს კითხულობდა ლექციებს ზოგად ბიოლოგიაში თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში (1990-2000წ.), სადაც მიენიჭა პროფესორის წოდება.

გამორჩეული იყო ბატონი რობერტის საქმიანობა საზოგადოებრივი მოღვაწეობის თვალსაზრისითაც. ის გახლდათ შესანიშნავი მეცნიერი, ავტორი 81 პუბლიკაციისა, რომელიც გამოქვეყნდა საქართველოსა და თუ მის ფარგლებს გარეთ; მრავალი კონფერენციისა და კონგრესის მონაწილე. რ. ქარჩხაძე იყო მრავალმხრივი მეცნიერი, რომლის სამეცნიერო კვლევის მიმართულებებიც მოიცავდა გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი სისტემის, კუჭ-ნაწლავის პათოლოგიებს და ტრავმული შოკის და სეფსისის განვითარების პათოგენეზის საკითხებს. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია რამდენიმე საკანდიდატო დისერტაცია.

ბატონი რობერტი გამოირჩეოდა შინაგანი კულტურით, კომუნიკაბელურობით, კეთილმოსურნეობით და იშვიათი მეცნიერული ალღოთი, რის გამოც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა კოლეგებს შორის. მის პიროვნულ ღირსებებს ამყარებდა სამშობლოს უზომო სიყვარული და ჩვენი ქვეყნის მომავლის რწმენა. სამწუხაროა, რომ დღეს ბატონი რობერტი აღარ არის ჩვენ შორის, ადამიანი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდა და სხვასაც განაწყობდა აქტიური სამეცნიერო მოღვაწეობისთვის. მისი ნათელი ხსოვნა და მონატრების გრძნობა ყოველთვის დარჩება კოლეგების, მეგობრების, ოჯახის წევრების გულში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო ფარმაკოლოგიის და ფარმაკოთერაპიის დეპარტამენტი; კოლეგები ცენტრალური სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიიდან

თბილისში დადიოდა სიკეთე

უმძიმესია ისაუბრო ბატონ თეიმურაზ პეტრიაშვილზე წარსულში. სწორედ ამან განაპირობა ჩვენი ტკივილით აღსავსე დუმილი ამდენი ხნის განმავლობაში და კიდევ იმანაც, რომ გასახსენებელი და სათქმელი იმდენი გვაქვს, რომ არც კი ვიცით საიდან დავიწყოთ.

ჩვენს საზოგადოებაში არ მოიძებნება ადამიანი, ვინც იცნობდა ბატონ თემურს და გამორჩეულად არ უყვარდა იგი. ამ, მართლაც, განუმეორებელი ადამიანის, პროფესიონალის, მეცნიერის და მასწავლებლის უდიდესი ღირსება მისი ვაჟკაცობა გახლდათ. შესაშური ყურადღებით გამოირჩეოდა გარშემომყოფთა მიმართ და მის ამ თვისებას ორგანულად და ჰარმონიულად მოსდევდა გულწრფელი მზრუნველობა ირგვლივ მყოფებზე – ოჯახზე, ნათესავებზე, მეგობრებზე, ახლობლებზე, თანამშრომლებზე,... მაგრამ თემურ პეტრიაშვილს განსაკუთრებულად და გამორჩეულად ეფიქრებოდა სტუდენტები, რომლებთან მეგობრობას იგი უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგაც არ წყვეტდა.

შეგნებულად არაფერს ვიტყვით ოფიციალურ ცნობებზე მისი ბიოგრაფიიდან; ამაზე ბევრი დაიწერა და გამოქვეყნდა. ერთს კი აღვნიშნავთ: თეიმურაზ პეტრიაშვილს, სკოლის დამთავრების შემდეგ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გარეშე ერთი დღეც არ უცხოვრია; Aalma Mater იყო მისთვის ყველაფერი. გვახსოვს, ერთ დილას როგორი აღფრთოვანებული მოვიდა დეპარტამენტში – ეს რა ზუსტი სლოგანია გამოსახული ჩვენს ახალ ლოგოზეო – „ტრადიციებით მომავლისკენ“. სწორედ ამ სულისკვეთებით ცხოვრობდა თავად – წარსულის პატივისცემითა და მომავლისკენ მიპყრობილი იმედიანი მზერით, რაც სტუდენტებთან მის სამაგალითო დამოკიდებულებაშიც კარგად ჩანდა.

თსსუ-ის პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის პარალელურად, სამედიცინო უნივერსიტეტის კოლეჯსა და შემდეგ – სამკურნალო ფაკულტეტის დეკანატში წამყვან ადმინისტრაციულ პოზიციებზე მუშაობის პერიოდში, სახელობითად იცნობდა ყველა სტუდენტს, მათი, განსაკუთრებით კი – სასწავლო პროცესში გარკვეული პრობლემების მქონე სტუდენტების, განრიგი ზეპირად იცოდა, მაქსიმალურად აკონტროლებდა და, შესაბამისად, მათ გზაზე დაყენებას ცდილობდა, რასაც თითქმის ყოველთვის ახერხებდა კიდეც. ამის უპირველესი წინაპირობა ის იყო, რომ მას სტუდენტები გულწრფელად უყვარდა. დიახ, ეს, მართლაც, წარმოუდგენელი ურთიერთობები იყო პროფესორსა და სტუდენტს შორის. საოცრად ბედნიერი იყო, როდესაც ყოფილი სტუდენტის, უკვე კოლეგის, წარმატების შესახებ შეიტყობდა ხოლმე.

უდიდესი წვლილი მიუძღვის თეიმურაზ პეტრიაშვილს ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ეკლესიის მშენებლობაში. სწორედ ამ ტაძრის ეზოში, ბატონი თემურის გამოსვენებამდე რამდენიმე საათით ადრე, ჩვენთან ახალგაზრდა კაცი მოვიდა, გაგვეცნო, როგორც ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, წლების წინ – ბატონი თემურის სტუდენტი, დღეს – გერმანიაში მოღვაწე წარმატებული ექიმი. იგი იმ დღეს სპეციალურად იყო ჩამოსული, რათა ბატონი თემურის ოჯახის, უნივერსიტეტისა და ჩვენი ტკივილი გაეზიარებინა და მისი სასიქადულო პროფესორი უკანასკნელ გზაზე გაეცილებინა. ..და ვინ იცის, იმ ზღვა ხალხში კიდევ რამდენი იყო ასეთი... ეს იყო მომენტი, როდესაც დიდი ტკივილის ფონზე, თვალცრემლიანნი სიამაყეს განვიცდიდით.

სიყვარულით იყო სავსე მთელი მისი ცხოვრება. არაჩვეულებრივი მეუღლის, ქალბატონი მაიას, მზრუნველი შვილებისა და შვილიშვილების, მისივე გაზრდილი უმცროსი ძმის – შალვას და მისი ოჯახის გარდა, მის სიყვარულს მრავალი ადრესატი ჰყავდა: საქართველო, რაჭა, თბილისი, პოეზია, გალაკტიონი, ქართული ტრადიციები, სუფრის კულტურა, ვაზი, ღვინო, ისტორია, ქვეყნის წარსული და ბოლოს – მეფე ერეკლე! საკუთარი კაცური გადმოსახედიდან ვერ შეეგუა იმ დროისთვის არსებულ ისტორიული მოვლენების შეფასებებს და, უზარმაზარი კვლევისა და შრომის შედეგად, საპირისპიროს მოჰფინა ნათელი. ერთ დღესაც გამარჯვებული და აღფრთოვანებული დაბრუნდა – „დავამტკიცე! ერეკლე შვილებს ბრძოლაში არ მიუტოვებიათ!“ ამ ერთ წინადადებაში მთელი მისი სიცოცხლე იდო. დღეს კი მის ამ პოსტულატს ისტორიკოსები თავის ნაშრომებსა და გამოცემებში „სანდო წყაროდ“ მოიხსენიებენ; ასევე, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩაგვესმის მისი საოცარი ტემბრითა და საუბრის მანერით ნათქვამი ერთ-ერთი ფრაზა: „გალაკტიონს სიღარიბესა და გაჭირვებაში არ უცხოვრია“... სიტყვის ოსტატი იყო, განსაკუთრებით კი – ქართული ლხინისას. ერთ რამედ ღირდა იმ სუფრაზე ყოფნა, რომელსაც ის თამადობდა: როგორ ამკობდა და ეფერებოდა ადამიანებს სადღეგრძელოთი, როგორ კითხულობდა ლექსებს, როგორ იღვრებოდა სიყვარულად...

წარმოუდგენელია, ერთ წერილში ჩაატიო თეიმურაზ პეტრიაშვილთან დაკავშირებული ემოციები, მოგონებები, მადლიერება... მაგრამ ბატონი თემურის ერთი საარაკო ურთიერთობა კი უცილობლად უნდა აღინიშნოს; მკითხველი, ვფიქრობთ, მიხვდება: ვგულისხმობთ სამაგალითო, პატივისცემითა და სიყვარულით გაჯერებულ ურთიერთობას ორ სამაგალითო ადამიანს შორის. უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტი ორი დიდი მეცნიერის – პროფესორ ვახტან ყიფიანისა და პროფესორ თეიმურაზ პეტრიაშვილის, პროფესიონალიზმზე იდგა. მკითხველის ყურადღებას გავამახვილებთ ერთ დეტალზე: ვახტანგ ყიფიანი ასე ბრძანებდა თემურ პეტრიაშვილზე: „თბილისში დადის სიკეთე“. მართლაც რომ, ასე იყო!

თეიმურაზ პეტრიაშვილის მიერ უანგაროდ დათესილი უდიდესი სიკეთე, ღვთიური მადლის სახით, უდავოდ დაუბრუნდება მისი ოჯახის თითოეულ წევრს, მის ნათესავებს, მეგობრებს და ჩვენ – მის მშობლიურ პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში.

დიდი მადლობა ყველაფრისთვის, ბატონო თემურ...

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტი

„სამედიცინო ბაზისური ფარმაკოლოგია“

აკადემიური პროცესის სრულყოფილი წარმართვისთვის სამედიცინო ფარმაკოლოგიისა და ფარმაკოთერაპიის დეპარტამენტში, დეპარტამენტის თანამშრომლებმა შექმნეს და თარგმნეს არაერთი ძირითადი თუ დამხმარე სახელმძღვანელო. მათ შორის, მნიშვნელოვანია აღინიშნოს აკადემიკოს გივი თურმანაულის ავტორობით ქართულ ენაზე შექმნილი და დაბეჭდილი 27 სახელმძღვანელო და სასწავლო მონოგრაფია. სამწუხაროდ, ბატონი გივი თურმანაულის სიცოცხლეში ვერ მოხერხდა მისი ბოლო წიგნის გამოცემა.

დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ ნიკოლოზ გონგაძის, დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის, ლუიზა გაბუნიას, მედიცინის დოქტორის, მანანა გოგოლაურის და ანა არჩვაძის ხელშეწყობით, ბატონი გ. თურმანაულის ოჯახის ინიციატივით მიმდინარე წელს, აღნიშნული სერიიდან დაიბეჭდა ბოლო წიგნი: „სამედიცინო ბაზისური ფარმაკოლოგია” – მეათე გამოცემა ერთ ტომად. ამ ბოლო ნაშრომზე აკადემიკოსი გ. თურმანაული ინტენსიურად მუშაობდა სიცოცხლის ბოლო წლებში.

სახელმძღვანელოში სრულადაა განხილული სამკურნალო საშუალებების ბაზისური ფარმაკოლოგიის საკითხები და განკუთვნილია მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.

სამედიცინო ფარმაკოლოგიისა და ფარმაკოთერაპიის დეპარტამენტი კიდევ ერთხელ გამოხატავს ღრმა პატივისცემას ღვაწლმოსილი მეცნიერის, დამსახურებული პროფესორის და ღირსეული მამულიშვილის, აკადემიკოს გიორგი (გივი) თურმანაულის მიმართ.

პროფესორი ნიკოლოზ გონგაძე, სამედიცინო ფარმაკოლოგიისა და ფარმაკოთერაპიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ახალი გამოწვევების პირისპირ

დასაწყისი მე-2 გვერდიდან

ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის და სამედიცინო კლინიკების გაერთიანების ხელმძღვანელობასთან. ამ ურთიერთობაში უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვის, ასევე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, თსსუ-ის საპატიო დოქტორს, ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის სხივური თერაპიისა და რადიოონკოლოგიის ცენტრის უფროს ექიმს, ქალბატონ ირმა კვიცარიძეს, რომლის დაუღალავი შრომის შედეგია ინსბრუკსა და თბილისს შორის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის ჩამოყალიბება. ჩემს სამუშაო ვიზიტს წინ უძღოდა პროფესორ ზ.ვადაჭკორიას ვიზიტი ავსტრიაში (ინსბრუკი), სადაც ის შეხვდა უნივერსიტეტისა და კლინიკების გაერთიანების ხელმძღვანელობას. მე მქონდა ტექნიკური ხასიათის შეხვედრები ყველა იმ მნიშვნელოვან წამოწყებაზე, რაც აღნიშნულ შეხვედრებზე უკვე ინიცირებული გახლდათ. საუბარი ეხება ტელემედიცინის გამოყენებას, რომელიც, ურთიერთკომუნიკაციების საშუალებით, ინფორმაციის გაცვლის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას გულისხმობს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების სამედიცინო ცენტრების წარმომადგენლებს შორის და მიზნად ისახავს, როგორც მკურნალობის ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე, წარმოადგენს სწავლის და სწავლებისთვის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. პირველ რიგში, საუბარია ჩვენს პარტნიორებთან ერთიანი სტანდარტების დამკვიდრების შესახებ საუბრის, მსჯელობის შესაძლებლობაზე, განსაკუთრებით, ონკოლოგიაში და მის გადმოღებასა და იმპლემენტაციაზე ჩვენს კლინიკურ პრაქტიკაში. ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ეს პროცესი დავიწყოთ, რაც შეიძლება მალე. ეს კი, საშუალებას მოგვცემს, გავაუმჯობესოთ სამედიცინო მომსახურების ხარისხი, დავნერგოთ იგი, როგორც მნიშვნელოვანი სასწავლო კომპონენტი და ყველაზე მთავარი – შევქნათ პრეცედენტი იმისა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი გახდეს ტელემედიცინის სერვისის პროვაიდერი რეგიონის სხვა ქვეყნებში.

ტელემედიცინის გამოყენება ონკოლოგიაში წარმოუდგენელია ტუმორბორდის გარეშე. ესაა ექიმთა მრავალდარგობრივი მულტიდისციპლინური გაერთიანება, რომელიც მუშაობს ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზის მქონე პაციენტებთან. ამ ჯგუფში გაერთიანებულია – ქირურგი, ონკოლოგი, სამედიცინო ონკოლოგ-რადიოლოგი, რადიაციული ონკოლოგი, პათომორფოლოგი, ხშირად – ფსიქოლოგი, გენეტიკოსი, ძალიან ხშირად კი – პლასტიკური ქირურგი, რომლებიც ერთობლივად განიხილავენ დიაგნოზს, ასევე, სხვა პაციენტის მიმართებაში ჩატარებულ სამკურნალო-დიაგნოსტიკურ გეგმას და გასცემენ რეკომენდაციას. ტუმორბორდის გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა, რაც, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, უნდა გაითვალისწინოს პაციენტის მკურნალმა ექიმმა. სწორედ ამ ურთიერთკომუნიკაციის შედეგად, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში შევქმნით ლოკალურ, ტუმორბორდთან ძალიან მჭიდრო კავშირში მყოფ საერთაშორისო ჯგუფს, ანუ უშუალო, პირდაპირი კომუნიკაციით დავამყარებთ კონტაქტს საერთაშორისო ჯგუფთან – ავსტრიულ მხარესთან, იქაური ტუმორბორდის წევრებთან. ეს კი საშუალებას მისცემს ქართველ პაციენტებს, მიიღონ ,,მეორე ხედვა'', დარწმუნდნენ იმაში, რომ მათთვის ქართველი ექიმების მიერ მიწოდებული ინფორმაცია შეესაბამება დღეს მთელ მსოფლიოში მოწოდებულ რეალობას და სტანდარტებს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კუთხით, ჩვენ კი საშუალება გვექნება, კლინიკურ პრაქტიკაში დავნერგოთ ის გაიდლაინები, რაც იმპლემენტირებულია ევროპის განვითარებულ ქვეყნებში. ასე, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს, რეზიდენტებს, ახალგაზრდა თუ პრაქტიკოს ექიმებს, შეეძლებათ მალე აქტიური მონაწილეობა მიიღონ ტუმორბორდის მსვლელობაში, დასვან კითხვები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით და ტუმორბორდის ჯგუფის (ავსტრია) სპეციალისტებისგან მიიღონ ინფორმაცია მაღალი სარწმუნოების მქონე კვლევებზე დაფუძნებული შედეგების შესახებ, კერძოდ, თუ რა მოცულობით უნდა ტარდებოდეს პაციენტის დიაგნოსტიკა და მკურნალობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ყოველივე ზემოთ თქმული აამაღლებს სამედიცინო მომსახურების ხარისხს.

ტუმორბორდი მედიცინაში არის ერთ-ერთი ხერხი ამ პროცესის რეალიზებისთვის. იგი საქართველოში, თბილისის სახელწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში, ჩამოყალიბდება. ჩვენ ვიხელმძღვანელეთ ტილაკის სამედიცინო კლინიკების გაერთიანებისგან მიღებული გზამკვლევის პროექტით, რომელიც უკვე ითარგმნა და ადაპტირებულია ქართულ რეალობასთან; შევათანხმეთ ტექნიკური დეტალები ჩვენს უცხოელ კოლეგებთან და თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორის, პროფესორ ლევან რატიანის, ბრძანებით, ეს პროექტი დამტკიცდა სამუშაო გეგმად. შემდეგი ეტაპი სპეციალისტებით დაკომპლექტება იქნება – ხელს შევუწყობთ სპეციალისტების გაგზავნას უცხოეთში სიახლეების ადგილზე ასათვისებლად და, სავარაუდოდ, წელსვე, მოსამზადებელი ტექნიკური პერიოდის გავლის შემდეგ, დავიწყებთ მის აქტიურ კლინიკურ გამოცდას.

მოამზადა დარეჯან კომლაძემ

კონფერენცია სამედიცინო ფიზიკის აქტუალურ საკითხებზე

14 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარდა მე-10 სტუდენტური კონფერენცია – „სამედიცინო და ჯანმრთელობის ფიზიკა, თანამედროვე ტრენდები სამედიცინო ტექნოლოგიებში".

კონფერენციის დაწყებამდე სტუდენტებისთვის ლექცია წაიკითხა ზაგრების უნივერსიტეტის პროფესორმა, რატკო მაგჯიარევიკმა (პროფ. Ratko Magjarević, – ზაგრები, ხორვატია), რომელიც თბილისის მერიის დაფინანსებით იმყოფება საქართველოში. პროფესორი რატკო მაგჯიარევიკი თსსუ-ის სტუდენტებს ესაუბრა თანამედროვე მიღწევების შესახებ სამედიცინო ფიზიკაში, რის შემდეგაც კონფერენციაზე წარჩინებულმა სტუდენტებმა წარმოადგინეს მოხსენებები ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ტრადიციული კონფერენცია

ტრადიციული სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა თსსუ-ის სამედიცინო ბიოლოგიის და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტში. კონფერენცია ცნობილი პარაზიტოლოგის, სიმონ კანდელაკის, ხსოვნას მიეძღვნა (ორგანიზატორები – დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ნინო ხვიტია და პროფესორი ეკატერინე მჭედლიშვილი). ჟიურის შეფასებით, განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა მეორესემესტრელი სტუდენტების: საბა მოსიძის, ლევან ფიფიას, არჩილ ბერიძის, დავით გიუნაშვილის, თათული თოდუას, საბა არაბიძის, საბა ჩაჩანიძის, კონსტანტინე ჩხაიძის, თამარ ბურჯანაძის, ნაშრომებმა.

დეპარტამენტის მიერ დაგეგმილი ყოველწლიური სტუდენტური კონფერენციები უფრო და უფრო მეტ სტუდენტს იკრებს და აძლევს საშუალებას, ჩაერთოს სამეცნიერო მუშაობაში, რათა თავიანთი სიტყვა თქვან მედიცინის სამომავლო განვითარებაში.

შეხვედრა 40 წლის შემდეგ

არსებობის თითქმის საუკუნოვან ისტორიაში ათასობით ექიმი და ფარმაცევტი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტი აღზარდა და ჩამოაყალიბა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, რომელიც მუდამ ამაყობს თავისი კურსდამთავრებულებით, ათეული წლებია უდრტვინველად რომ დგანან მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე...

ულამაზესი ახალგაზრდული წლების გასახსენებლად შეიკრიბნენ მშობლიურ ,,სამედიცინოში" სამკურნალო ფაკულტეტის 1979 წლის კურსდამთავრებულნი. მეგობრული შეხვედრის ინიციატორი პროფესორი **გია შავიანიძე** გახლდათ, აღიარებული რევმატოლოგ-კურორტოლოგი, რამდენიმე საინტერესო მონოგრაფიის ავტორი და, როგორც მან აღნიშნა, – ჯგუფში ყველანი ნიჭიერი ახალგაზრდები იყვნენ, სწავლით თუ საზოგადოებრივი საქმიანობით გამორჩეულნი; სწავლების პროცესიც მაღალი ხარისხის და საინტერესო იყო. შესანიშნავი ლექტორები გვყავდა; განსაკუთრებულად მოგვეწოდებოდა ეთიკა და დეონტოლოგია, რასაც ახლა უფრო კარგად ვგრძნობთ, ათეული წლების გადასახედიდან. სწორედ ამგვარი მიდგომა იძლევა მაღალ საექიმო დონეს და არც ჩვენ გამოვსულვართ ცუდი ექიმები, – დასძინა საუბრისას.

ბატონმა გიორგიმ სტუდენტობისდროინდელი ტკბილი მოგონებებით სავსე საინტერესო ვიდეო-კოლაჟი წარმოადგინა.

პროფესორმა რიმა ბერიაშვილმა, თსსუ-ის ვიცე-რექტორმა, სიამოვნებით გაიხსენა ახალგაზრდობის წლები:

– როგორც არ არსებობს ყოფილი ახლობელი, ყოფილი სკოლა, ისევე არ არსებობს ყოფილი უნივერსიტეტიც; მშობლების მერე, თუ ვინმეს ვუყვარვართ და ვახსოვართ, გამორჩეული უანგარო დამოკიდებულებით და სითბოთი, ესენი ჩვენი ბავშვობის მეგობრები არიან; – უნივერსიტეტს მუდამ უხარია თქვენი წარმატებები და პასუხისმგებლობასაც ვგრძნობთ ყველა კურსდამთავრებულის მიმართ. გვინდა, რომ თქვენც მუდმივად იამაყოთ მშობლიური უნივერსიტეტის მიღწევებით საშინაო თუ საგარეო ასპარეზზე, – აღნიშნა ქალბატონმა რიმამ.

ლევან ჩიჩუა და ლევან მამალაძე, ვარდენ ჯაფარიძე, კობა კობაიძე, ლალი იოსავა და მიშა ბარქაია, ლალი წითლაძე, ანა თოფურია და კიდევ მრავალნი ბედნიერი სახეებით იხსენებდნენ მშობლიურ ,,სამედიცინოს", ოთხი ათეული წლის წინათ ცხოვრებისეული და პროფესიული ასპარეზი რომ დაულოცა და მადლიერნი და ცრემლმორეულნი ტოვებდნენ დარბაზს... კიდევ შეხვდებიან მომავალ წელსაც და ასე, მრავალგზის, ისევ იმ სიყვარულით და სითბოთი, თავიანთმა ალმა-მატერმა რომ უსახსოვრა და ცხოვრების საგზლად გაატანა.

საინტერესო ფურნირები

სურათზე – პირველ რიგში – სხედან: – თორნიკე ფუტკარაძე, საბა სამხარაძე, სანდრო კვერენჩხილაძე, დავით მეტრეველი, გიორგი გარუჩავა, ნიკოლოზ კურტანიძე; მეორე რიგში – დგანან: – გიგი გზობავა, ირაკლი დევაძე, ნოდარ აფციაური, ვახტანგ ბაქანიძე, გურამ გვანცელაძე, ზაურ ფხალაძე, ცოტნე ჩხიკვაძე, გიორგი ამაღლობელი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ტრადიციულად, ხშირად აწყობს გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელების, მწვრთნელების, მსაჯების სახელობის ტურნირებს მინი-ფეხბურთში. ამჯერად გადაწყდა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის, ბატონი გურამ გვანცელაძის, სახელობის ტურნირი გაემართათ, რათა ახალგაზრდა სპორტსმენებს, სტუდენტებს ახლოს გაეცნოთ და შეეფასებინათ მისი ღვაწლი და დამსახურება ფეხბურთის ისტორიაში.

ტურნირის მოწყობის ორგანიზატორი და მხარდამჭერი გახლდათ თსსუ-ის სპორტის ცენტრი (დირექტორი ზაურ ფხალაძე) და ცენტრის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი, ტურნირის მთავარი მსაჯი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ვახტანგ ბაქანიძე, ხოლო თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სრული შემადგენლობა, პრეზიდენტ ანა კაკაბაძის, ხელმძღვანელობით, აქტიურად იყო ჩართული ტურნირის მოწყობის და წარმართვის საქმეში.

ტურნირში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს თსსუ-ის ქართველმა და საერთაშორისო სტუდენტებმა. წრიული სისტემით 6-6 გუნდი ორ ჯგუფად გადანაწილდა, შემდეგ კი გამოვლინდა უძლიერესი ოთხეული – ,,მფრინავი ჰოლანდიელი", ,,რეაბილიტაცია", ,,საერთაშორისო მედიკოსთა ორგანიზაცია – IMCA" და ,,მედიცინა".

მესამე ადგილი მოიპოვა გუნდმა – „რეაბილიტაცია"; ფინალი კი, მართლაც, საინტერესო გამოდგა, სადაც ერთმანეთს გუნდები – „საერთაშორისო ორგანიზაცია – IMCA" და „მფრინავი ჰოლანდიელი" – შეხვდნენ. თამაშისას ორივე გუნდის შემადგენლობა დიდი პასუხისმგებლობით, ორგანიზებით, თამაშის ხარისხით გამოირჩეოდა. დაძაბული ბრძოლა, ანგარიშით – 3:2, მოიგო „საერთაშორისო მედიკოსთა ორგანიზაციის" გუნდმა.

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა დავით მაზიაშვილი, საუკეთესო მეკარედ – თორნიკე ფუტკარაძე, ბომბარდირად კი – 12 გატანილი გოლის ავტორი – სანდრო კვერენჩხილაძე.

ბატონმა სანდრო გვანცელაძემ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელებს, გუნდების კაპიტნებს, წევრებს გადასცა შესაბამისი პრიზები, თასები, მედლები და სიგელები, შემდეგ კი სტუდენტებს და ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა მოწვევისა და დაფასებისთვის.

***

1981 წლის 13 მაისის თასეების მფლობელთა თასის გამარჯვებულის, თბილისის ,,დინამოს" ბრწყინვალე თაობის შესანიშნავი სამეულის – ვიტალი დარასელიას, დავით ყიფიანის და რამაზ შენგელიას – ხსოვნას მიეძღვნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გამართული ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა კენჭისყრის მიხედვით 4-4 ჯგუფად დაყოფილმა 18-მა სტუდენტურმა გუნდმა მიიღო. ფინალში, რომელიც საინტერესო გამოდგა, მონაწილეობის უფლება ნილად ხვდათ გუნდებს – ,,მფრინავ ჰოლანდიელსა" და ,,West''-ს. ორივე გუნდის ფეხბურთელები უნარიანი თამაშით, გემოვნებით, ფანტაზიით, საფეხბურთო ელემენტების გამოყენებით გამოირჩეოდნენ, ამიტომაც მატჩი უხვგოლიანი გამოდგა – ანგარიშით – 9:6, გაიმარჯვა ,,მფრინავმა ჰოლანდიელმა". დასახელდნენ საუკეთესონიც: მეკარე – ლევან გობეჯიშვილი, ბომბარდირი, 12 გატანილი გოლით – გიორგი პაიჭაძე; ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი კი გახდა – იორდანელი მუჰამმად ამაირე, სტომატოლოგიის ფაკულტეტის პირველსემესტრელი, თსსუ-ის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის წევრი. გუნდები დაჯილდოვდნენ შესაბამისი თასებით, მედლებითა და სიგელებით.

ტურნირის ორგანიზატორი და მხარდამჭერები: თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა, პრეზიდენტ ანა კაკაბაძის ხელმძღვანელობით, თსსუ-ის სპორტის ცენტრის ხელმძღვანელი, ზაურ ფხალაძე და ტურნირის მთავარი მსაჯი, უნივერსიტეტის ნაკრები გუნდის მწვრთნელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე ვახტანგ ბაქანიძე.

„სამედიცინო გაზეთის" რედაქცია
ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64

რედაქტორი
ლელა მუკბანიანი
კორესპონდენტები:
მანანა ფხალაძე
ტ.:555 29 98 27
დარეჯან კომლაძე
ტ.:558 17 08 47
ნატო ბოლქვაძე
ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა
newspaper@tsmu.edu